

ფინანსური ანგარიშგება

შპს "გოქშინ ინშაათ გიდა ტურიზმ ბილიშიმ თუქეთიმ მალლარი ფაზარლამა
მადენჯილიქ ვე ფროჟე მუშავირლიქ ჰიზმეთლერი სანაი თიჯარეთ"-ის საქართველოს
ფილიალი

2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშნ	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	2126	34848	318980
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	493618	27730	247285
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4	46727	46738	0
მარაგები	5	16274	57077	134804
სხვა		16274	57077	134804
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	0	99968	2562252
ძირითადი საშუალებები	6	84361	141231	178437
სულ აქტივები		643106	407592	3441758
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	138119	345516	3515578
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	0	1000	47170
საგადასახადო ვალდებულებები	7	2339	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	7	626034	1565464	1732604
სხვა ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		766492	1911980	5295352
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-123386	-1504388	-1853594
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		-123386	-1504388	-1853594
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		643106	407592	3441758
სულ მოკლევადიანი აქტივები		558745	266361	32633221
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		766492	1911980	5295352

საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები		31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები		605403	2204708
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან		0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	8	605403	2204708
გაყიდვების თვითღირებულება	10	-49618	-1406434
საერთო მოგება		555785	798274
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	9965	39492
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	-37197	-287622
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	10	-24776	-37207
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	-34607	-239906
სულ საოპერაციო ხარჯები		-86515	-525243
საოპერაციო მოგება		469170	273031
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	11	64758	41442
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		533928	314473
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		533928	314473
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		533928	314473
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-1504388	-1853594
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	12	847074	34733
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-123386	-1504388

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა		31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		32036	-273129
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		32036	-273129
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		-64758	-11003
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		34848	318980
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2126	34848

საადრიცხოვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "გოქშინ ინშაათ გიდა ტურიზმ ბილიშიმ თუქეთიმ მალლარი ფაზარლამა მადენჯილიქ ვე ფროჟე მუშავირლიქ ჰიზმეთლერი სანაი თიჯარეთ"-ის საქართველოს ფილიალი ს.კ 400015540 წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი ქობულეთის მუნიციპალიტეტი ლესელიძის შესახვევი 18ა და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფ. ცეცხლაური, კომპანიის ძირითადი საქმიანობა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, კერძოდ ქობულეთში სოფ.ცეცხლაურში მყარი ნარჩენების განთავსების ობიექტის , ახალი სანეტარული ნაგავსაყრელის პოლიგონისა და მისასვლელი გზის მშენებლობა, დამკვეთი აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია ს.კ 245626684,კომპანია დარეგისტრირებულია საგადასახადო შეღავათით მოსარგებლეთა რეესტრში ამ პროექტის ფარგლებში , შესაბამისად დამკვეთისთვის მისაწოდებელი მომსახურეობა განთავისუფლებულია ჩათვლის უფლებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხოვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედ გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფული და ფულის ექვივალენტები კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მიერ მომსახურეობის შესრულება მოხდა ეტაპობივად დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო ანაზღაურება განხორციელდა უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებით. პროექტი დასრულებულია 2022წელს.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო -მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობს შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სახვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების

ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-10 წელი;

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი 2-7 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი;

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშობა, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	2	447
ფული საბანკო ანგარიშებზე	2124	34400
სულ	2126	34847

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	493618	27730
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	46727	46738
მომსახურების შესრულების საგარანტიო თანხა(10%)	-	-
დრ.რეკიმთან განხორციელებული საგარანტიო თანხა ბანკში	-	-
სულ	540345	74468

შენიშვნა 5

მარაგები

	2022	2021
საწვავი	-	-
სამშენებლო ნედლეული და მასალები	2161	42964
სხვა მცირეფასიანი ინვენტარი	14113	14113
სულ	16274	57077

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 40803 ლარი.

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	დრ.შენობები	მანქანა დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.დეკ.21	79390	20700	37359	17471	3451	74207	232578
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-50699	-502	-4293	-	-	-	-55494
31.დეკ.22	28691	20198	33066	17471	3451	74207	177084
ცვეთა და გაუფასურება							
31.დეკ.21	-31561	-11689	-20513	-10208	-2349	-15028	-91348
პერიოდის ცვეთა	-4210	-3790	-6186	-3198	-531	-6861	-24776
გასვლა	20492	357	2552				23401
31.დეკ.22	-15279	-15122	-24147	-13406	-2880	-21889	-92723
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31.დეკ.21	47829	9011	16846	7263	1102	59179	141230
31.დეკ.22	13412	5076	8919	4065	571	52318	84361

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები საქონლის შეძენები	137897	282333
სხვა ვალდებულებები მომსახურეობიდან	221	63183
გადასახადელი ხელფასები	-	1000
მოკლევადიანი სესხები	626034	1565463
საგადასახადო ვალდებულება	2339	-99968
სულ	766491	1812011

შენიშვნა 8**ამონაგები**

	2022	2021
მომსახურების გაწევიდან-სამშენებლო ხელშეკრულებიდან	605403	2204708
სულ	605403	2204708

შენიშვნა 9**სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო**

	2022	2021
რელიზაცია მასალების გაყიდვიდან	507	-
ექსპორტი	-	37924
არასაოპერაციო შემოსავალი	-	1568
რელიზაცია ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	9458	-
სულ	9965	39492

შენიშვნა 10**სხვა ხარჯები**

	2022	2021
დარიცხული ხელფასი	37197	287622
დარიცხული ცვეთა	24776	37207
კომუნალური გადასახადები	257	12961
საგადასახადო ხარჯი-ქონების გადასახადი	1170	1598
საკონსულტაციო ხარჯი	260	8750
ქონების დაზღვევა	-	10595
სავალდებულო დაზღვევა	-	130
საპენსიო დანარიცხები	92	3239
საკანცელარიო ხარჯები	-	3207
ბანკის მომსახ.საკომისიო	126	566
საოფისე ხარჯები	608	129418

მშენებლობაზე გახარჯული მასალების თვითღირებულება	38225	543324
რეალიზებული მასალის თვითღირებულება	2578	48726
დაზიანებული ინვენტარი აქტით ჩამოწერილი	-	11895
COVID 19-თან დაკავშირებული ხარჯები	-	8820
მშენებლობაზე გაწეული პირდაპირი ხარჯები-TviTRirebuleba	8815	863112
რეალიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება	32094	-
სულ	146198	1971170

შენიშვნა 11

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2022	2021
კურსთა სხვაობა-მოგება	64758	41319
საშემოსავლო შედავათი	-	1480
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-1357
სულ	64758	41442

შენიშვნა 12

ცვლილება კაპიტალში

	2022	2021
გასული პერიოდის შეცდომების გასწორება	847074	34733
სულ	847074	34733

შენიშვნა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს

დირექტორის ფირატ უზუნის მიერ :